ქ. მცხეთა

20.03.2015 წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2015 წლის 11 თებერვალს გამოცხადებულ №1464 „ქალაქ მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში დასაპროექტებელი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა“ კონკურსის მიმდინარეობაში, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის ვ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

კომისიის თავმჯდომარე: ი. რუხაძე

კომისიის წევრები: ი. გარსევანიშვილი

თ. ჯერვალიძე

გ. ბროძელი

დ. ოსეფაშვილი

სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა 20 მარტი 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია რუხაძე - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი გარსევანიშვილი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური დაგეგმვის, ქონების მართვის და მოსაკრებლების სამსახურის უფროსი- კომისიის წევრი;

თეიმურაზ ჯერვალიძე - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი;

დავით ოსეფაშვილი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ინფრასტრუქტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი-კომისიის წევრი;

გიორგი ბროძელი - ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი -კომისიის წევრი;

კომისიის მიერ მოწვეულ იქნა სპეციალისტი მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ექიმი- პროფილაქტიკოსი ნუნუ ბროძელი.

დღის წესრიგი:

№1464 კონკურსის: „ქალაქ მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში დასაპროექტებელი საბავშვო ბაღის სამშენებლო მუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა“ განხილვა და შეფასება.

მოისმინეს:

№1464 კონკურსზე: „ქალაქ მცხეთაში, ნარეკვავის დასახლებაში დასაპროექტებელი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა“ საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ხუთმა პრეტენდენტმა: ი.მ ზვიადი გარსევანიშვილი (ს.კ 31001014884); შპს „ინჟინერიუსი“(ს.კ 436037156), შპს „საქპროექტარქიტექტურა“ (ს.კ 205028628), შპს „ნს სტუდიო“ „NS STUDIO” (ს.კ 404450429), შპს „მანისტუდიო“ (ს.კ 406116206).

შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საიდენტიფიკაციო კოდი მიეთითა არასწორად, ნაცვლად: 236098833, მითითებულ იქნა: 236094196, რომელიც წარმოადგენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საიდენტიფიკაციო კოდს, რასაც ადასტურებს ქალაქ მცხეთის მუნიციპლიტეტის მერიაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან 2015 წლის 13 მარტს შემოსული წერილი N1208.

ზემო აღნიშნულის გამო მონაწილე კონკურსანტების მიერ საგადახდო დავალებაში შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი მითითებულ იქნა არასწორად.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საიდენტიფიკაციო კოდის გამო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება კონკურსანტებისათვის არ მიეცათ დისკვალიფიკაცია, ვინაიდან აღნიშნული არ იქნებოდა სამართლიანი.

გარდა საიდენტიფიკაციო კოდისა ორ კონკურსანტს: შპს „ინჟინერიუსი"(ს.კ 436037156), შპს „საქპროექტარქიტექტურა" (ს.კ 205028628) საგადახდო დავალებაში არასწორად ჰქონდათ მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საკონკურსო განცხადების უნიკალური ნომერი, შესაბამისად, მათ მიენიჭათ დისკვალიფიკაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ დაადგინა:

დოკუმენტაციის განხილვის შედეგად კომისიამ, ქულათა შეფასების სისტემის მეშვეობით გამარჯვებულად გამოავლინა შპს „ნს სტუდიო" (ს.კ 404450429).

შპს „ნს სტუდიო" -ს ეცნობოს წერილობით კონკურსის განხილვის შედეგი და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება არაუგვიანეს 2015 წლის 25 მარტისა.

კომისიის თავმჯდომარე: ი. რუხაძე

კომისიის წევრები: ი. გარსევანიშვილი

თ. ჯერვალიძე

გ. ბროძელი

დ. ოსეფაშვილი

არ ვეთანხმები კომისიის გადაწყვეტილებას და .....